

ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #12

2022 წელი 9 სექტემბერი 12.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ა.ხუჯაძე, ლ. დავითაშვილი,
ა.გოგოლაძე, მ.ზაქარიაშვილი, ც.კობერიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის
უფროსი გაიოზ თალაკვაძე და მოადგილე ლევან მიქავა.

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვალერი ჭილაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე

ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და
სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის
დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2022წ. ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ #12-032225043-03
2. დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ #12-032225059-03
3. ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე მხარდამჭერი ღონისძიების შესახებ #12-032225058-03
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლაშა მაჭავარიანის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ქეთევან შუბითიძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი N:12-032225128-03

1. მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ დეპუტატებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები, რომლებიც ხორციელდება ფაქტიურად მიღებული და მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში ასახვით. კერძოდ: იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტები 3 000,0 ათასი ლარით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 750,0 ათასი ლარით, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 310,0 ათასი ლარით, მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 210,0 ათასი ლარით და სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 15 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 19 270,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 455 021,0 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) ქვეპროგრამის ასიგნებები - 19 270,0 ათასი ლარი, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნებები - 500,0

ათასი ლარით. მცირდება მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) პროგრამის ასიგნება - 500,0 ათასი ლარი.

მიმდინარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპების: „ჩოგბურთის განვითარება“ „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი“, „ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედი“ და „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“ რეორგანიზაციის (შერწყმა/ გაერთიანება) პროცესი, რომლის შედეგად ჩამოყალიბდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი“ და იქნება ზემოაღნიშნული იურიდიული პირების სამართალმემკვიდრე.

შესაბამისად, ბიუჯეტით გათვალისწინებულ ქვეპროგრამას - თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება (კოდი 08 08 02) შეეცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02). ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) ქვეპროგრამის ფარგლებში გაიზარდა ა(ა)იპ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის მომუშავეთა რიცხოვნობა 18 ერთეულით, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა - 6 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 24 ერთეულით და ჯამურად შეადგენს 4 051 ერთეულს.

2. მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატებს წარუდგინა დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების შესახებ პროექტი რიგი კომპანიებისათვის.

იბა „დიდგორი 2006“-ის (ს/ნ 205137449) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N16 (ს/კ N01.10.06.001.234) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების შეთანხმების თაობაზე, “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის - 7 სექტემბრის N2.1377.1506 განკარგულების საფუძველზე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის გადამეტება მოხდეს არსებული სამშენებლო ობიექტის ფარგლებში, სართულიანობის გაზრდით.

შპს „დიჯი დეველოპერის“ (ს/ნ 405476462) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმება

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2,5 - დან 3,9 - მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე შენობის სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები.

შპს „დიჯი დეველოპერმა“ (ს/ნ 405476462) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 256 744 (ორასორმოდათექვსმეტი ათას შვიდას ორმოცდაოთხი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და კერძო პირის მირზა ნოზაძის (პ/ნ 60001025588) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმება

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 1,5 - დან 2,5 - მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე შენობის სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები;

მირზა ნოზაძემ (პ/ნ 60001025588) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 91 334 (ოთხმოდათერთმეტი ათას სამასოცდაათოთხმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ალმას“ (ს/ნ 204873388) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმება

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება: 7,0-დან 7,4-მდე. ამასთან, მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-1) განისაზღვროს 0.7-ით, ხოლო მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0.1-ით;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შეფასების კვლევის გარეშე;
- შპს „ალმამ“ (ს/ნ 204873388) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის -579 115

(ხუთასსამოცდაცხრამეტი ათას ასთხუთმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „კონსტრუქშენ გრუპი 2030“-ის (ს/ნ 405523955) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმება

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.5 -დან 4.5 -მდე;
- კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები;
- შპს „კონსტრუქშენ გრუპი 2030“-მა (ს/ნ 405523955) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 237 471 (ორასოცდაჩვიდმეტი ათას ოთხასსამოცდათერთმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „სანამის“ (ს/ნ 402191150) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმება

- მოხდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებით: 1, მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.06.015.005) - (კ-2) 4.7-დან 6.0-მდე; 2, მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.06.015.002) - (კ-2) 4.7-დან 6.0-მდე; 3, მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.06.015.014) - (კ-2) 8.8-დან 9.5-მდე;
- კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნები;
- შპს „სანამი“-მ (ს/ნ 402191150) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 626 774 (ექვსასუცდაექვსი ათას შვიდას სამოცდათოთხმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ურუს გრუპის“ (ს/ნ 405453619) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმება

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება: 1.5-დან 2.5-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შეფასების კვლევის გარეშე;
- შპს „ურუს გრუპი“-მ (ს/ნ 405453619) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 161 580 (ასსამოცდაერთი ათას ხუთასოთხმოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „სექტორი 1-ის“ (ს/ნ 405282215) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმება

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.5 - დან 2.7-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე შენობის სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები და ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი ნორმები;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შეფასების კვლევის გარეშე;
- შპს „სექტორი 1“-მა (ს/ნ 405282215) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის

112 623 (ასტორმეტი ათას ექვსას ოცდასამი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

3. მოისმინეს:

ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივის VI კვარტალის კორპუსი I (ს/კ: N01.19.20.030.009) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, შპს „ვი.ვი.ენ კომპანის“ (ს/ნ 406126133) მიმართ მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I (ს/კ: N01.19.20.030.009) არსებულ მიწის ნაკვეთზე ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) განისაზღვროს 0.8-ით;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 8.2 - ით;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს მიჯნის ზონის დაუცველად, დიობების მოწყობის, სიმაღლის განმსაზღვრელი და ავტოსადგომების რაოდენობასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შეფასების კვლევის გარეშე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარდგენის გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა შპს „ვი.ვი.ენ კომპანიმ“ (ს/ნ 406126133) მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე წარმოადგინოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრეთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები, რომლითაც დადასტურდება, რომ არ არიან წინააღმდეგები მშენებლობა განახორციელოს დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიებების გათვალისწინებით


4. მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლაშა მაჭავარიანის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ქეთევან შუბითიძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვალერი ჭილაძემ წარადგინა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ იმსჯელა დღის წესრიგით წარმოდგენილი ოთხივე საკითხზე, შეაფასა დადებითად (თავი შეიკავა ა.გოგოლაძემ) და მიზანშეწონილად მიიჩნია მათი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე



ლ.არველაძე